

სპეციფიკურ აფხაზურ ფონემათა ქართულად  
გადმოცემის (ტრანსლიტერაციის) საკითხისათვის

ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას უთარგმნელი რჩება ორიგინალის ენის ლექსიკის ერთი ფენა. ეს ძირითადად საკუთარი სახელებია: ანთროპონიმები (ადამიანის გვარ-სახელები), ტოპონიმები, ზოონიმები... ასევე უთარგმნელი რჩება ეთნოგრაფიულ რეალიათა აღმნიშვნელი ტერმინები. მხატვრულ თარგმანში ამათ ემატება ცალკეული შესიტყვევები, შორისდებულები, რეფრენები და მისთ.

უთარგმნელი მასალის თარგმანის ენაზე მოწოდება მოითხოვს შემუშავდეს ერთი ენის მასალის მეორეზე გადმოცემის, ტრანსლიტერაციის პრინციპები; უნდა დადგინდეს, ერთი ენის ამა თუ იმ ფონემას რა ფონემა შეესატყვისება მეორე ენაზე. ენათა ფონემური შემადგენლობა ხშირად სხვადასხვაა და აღნიშნულ პრინციპთა შემუშავებაც მეტ-ნაკლები სირთულით ხასიათდება.

აქამაღ ქართულ ენაზე სულ უფრო ხშირად ითარგმნება აფხაზური ლიტერატურისა და ფოლკლორის ნიმუშები, რომელთა თარგმნა უმეტესწილად რუსული ენის მეშვეობით ან აფხაზურიდან უშუალოდ ქართულ ენაზე შესრულებული პქკარედის გამოყენებით ხდება. იმის გამო, რომ შემუშავებული არ არის აფხაზური მასალის ქართულად გადმოცემის პრინციპები, ერთი და იგივე აფხაზური სიტყვა სხვადასხვა მთარგმნელისა თუ პქკარედის ავტორის მიერ ქართულში სხვადასხვაგვარად გადმოიცემა.

განსაკუთრებული სიჭრელეა აფხაზურისთვის დამახასიათებელი იმ სპეციფიკური ფონემების ქართულად გადმოცემის თვალსაზრისით, რომლებიც ქართულს არ მოეპოვება. ასეთი ფონემები კი აფხაზურს არც ისე ცოტა აქვს: აფხაზური ენის ფონემათა რაოდენობა ქართულისას თითქმის ორჯერ აღემატება. სხვაობას ქმნიან აფხაზურისთვის ნიშანდობლივი ლაბიალიზებული, პალატალიზებული, ინტენსიური თანხმოვნები, ნახევარხმოვნები **ა** და **ჟ**, ხმოვანი **გ**, სპირანტი **ჭ**.

როგორც აღნიშნა, ერთი რომელიმე ფონემა აფხაზური ენისა ზოგჯერ სხვადასხვაგვარად გადმოიცემა. მაგალითად, ლარინგალური ლა-

ზიალიზებული ნაპრალოვანი ვ ქართულში შემდეგნაირად შეიძლება იყოს გადმოცემული:

**ვი** კომპლექსით: **აძვიბუა** (ტოპონიმი სოფ. ოჩამჩირის რაიონში);

**იუ** კომპლექსით: **აძიუბუა** (იგივე ტოპონიმი);

**უ** ხმოვნით: **აძუბუა**;

**ვი** კომპლექსით: **აგვავერა** (ტოპონიმი, გვხვდება აფხაზეთის ასსრ-ის თითქმის ყველა რაიონში); **აგ<sup>ა</sup>ვარა** „ჩავარდნილ ადგილს, ტაფობს“ აღნიშნავს;

**ვა** კომპლექსით: **არვაში** (ტოპონიმი, გვხვდება ასევე ყველა რაიონში). **არვაშ** აღნიშნავს „მთის მდინარეს, ნაკადულს, ღელეს, ხევს“.

როგორც ამ მაგალითებიდანაც ჩანს ერთი და იგივე ტოპონიმი **აძვბუა** (ეტიმოლოგიურად — „ორ წყალს შუა“, „წყალთაშუა“) სამი ფარიანტით არის წარმოდგენილი, რასაც არავითარი გამართლება არ უძებნება.

აფხაზური ფონემების ქართულად გადმოცემის პრინციპთა შემუშავების აუცილებლობა ნათელია პოეტიკის (კერძოდ ლექსთწყობის) თვალსაზრისითაც: აფხაზური ნახევარხმოვნები **ა** და **ჟ** უმარცვლო ფონემებია და მათი გამოყენებისას სტრიქონში მარცვალთა რაოდენობა არ იზრდება. მაგრამ როცა ეს ნახევარხმოვნები გვხვდება უთარვმნელ რეფრენებში, ქართულად მათ ხშირად სრული, მარცვლიანი ხმოვნებით გადმოსცემენ, რაც ცვლის ქართულ თარგმანში რეფრენის მარცვალთა რაოდენობას.

ქვემოთ წარმოვადგენთ რამდენიმე მოსაზრებას სპეციფიკური აფხაზური ფონემების ქართულად გადმოცემის შესახებ. ცხადია, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართულის შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენებას. ვითვალისწინებთ ფონემათა პოზიციას სიტყვის შიგნით, მახვილიანობას, თვით აფხაზურისთვის დამახასიათებელ ფონეტიკურ პროცესებს და, ზოგ შემთხვევაში, ამა თუ იმ სიტყვის ქართულად გადმოცემის ზეპირ ტრადიციასაც.

## I. ლაბიალიზებული ფონემების ქართულად გადმოცემა.

1. აფხაზური ენის ლაბიალიზებული თანხმოვნები **დ<sup>ა</sup>**, **თ<sup>ა</sup>**, **ტ<sup>ა</sup>**, **ძ<sup>ა</sup>**, **ც<sup>ა</sup>**, **წ<sup>ა</sup>**, **ჭ<sup>ა</sup>**, **შ<sup>ა</sup>**, **შ<sup>ა</sup>** ლაბიალიზაციის (ბაგისმიერობის) სიძლიერით ხასიათდებიან და ისინი აკუსტიკურად ყველაზე ახლოს შესაბამისად **დვ**, **თვ**, **ტვ**, **ძვ**, **ცვ**, **წვ**, **შვ**, **შვ** კომპლექსებთან დგანან. ამდენად, გამართლებულიც იქნება აღნიშნულ ფონემათა **ვ**-თანხმოვნისანი კომპლექსებით გადმოცემა. ამ შემთხვევაში ფონემათა პოზიცია გავლენას ვერ მოახდენს მათი გადმოცემის პრინციპზე.

მაშასადამე, მართებულია ვწეროთ: გვარები: **აშვბა** (და არა **აშუბა**), **აშვანუა**, **აშვხვაწაა**, **ტვანბა**, **ცვეიბა**, **ცვიშბა**, **წვიჯბა**, **ბლაჟვბა**, **აგვაჟ-**

ვა...; სახელები: ცვიცვი-ი, ტიშვი-ი...; ტოპონიმები: ზვანდვრიფში-ი (სოფელი) და არა ზვანდრიფში, დვაბ-ი (მდინარე), ადვიშხა (მთა), დვრიფში-ი (სოფელი — და არა დურიფში, აწითვაქუ (მთა) — და არა აცეტუკა, ათვართა, ტვანაა-რხუ, აწვაწაწვი-ი, არაუვარა და სხვ.

ამ წესებიდან გამონაკლისს ქმნის გვარი (ა)ზვანბა და მისგან ნაწარმოები ტოპონიმი ზვანდვრიფში, რომლებიც სალიტერატურო აფხაზურ ენასა და აბუჟურ დიალექტში უ თანხმოვნით გადმოიცემა, მაგრამ ბზიფურ დიალექტში აქ გვაქვს სისინ-შიშინა ზ<sup>0</sup> ბგერა, რომელიც ქართულ ზვ კომპლექსთან უფრო ახლოა. ზვ კომპლექსის უპირატესობას ქართულში დამკვიდრებული ზვანბა, ზვანდრიფში ფორმებიც უჭერს მხარს.

2. აფხაზურში უკვე განხილულ დ<sup>0</sup>, თ<sup>0</sup>, ტ<sup>0</sup>, ძ<sup>0</sup>, ც<sup>0</sup>, წ<sup>0</sup>, უ<sup>0</sup>, შ<sup>0</sup>, ფონემებთან შედარებით ლაბიალიზაციის ნაკლები დონით გამოირჩევიან გ<sup>0</sup>, ქ<sup>0</sup>, კ<sup>0</sup>, ყ<sup>0</sup>, ღ<sup>0</sup>, ხ<sup>0</sup> ფონემები. ლაბიალიზაციის სხვაობა ანბანშიც იყო და არის ასახული: ქართულ გრაფიკაზე დაფუძნებულ ანბანში, რომელიც 1954 წლამდე იყო მოქმედი, ღ<sup>0</sup>, თ<sup>0</sup>, ტ<sup>0</sup>, ძ<sup>0</sup>, ც<sup>0</sup>, წ<sup>0</sup>, უ<sup>0</sup>, შ<sup>0</sup> ფონემათა ლაბიალიზაცია მცირე რგოლით აღინიშნებოდა, გ<sup>0</sup>, ქ<sup>0</sup>, კ<sup>0</sup>, ყ<sup>0</sup>, ღ<sup>0</sup>, ხ<sup>0</sup> ფონემათა ლაბიალიზაცია კი — უ ხმოვნით. თანამედროვე ანბანშიც ასეთივე ვითარებაა: ლაბიალიზაციის მეტ დონეს საგანგებო ნიშანი (მ) აღნიშნავს, ხოლო ნაკლებ ლაბიალიზაციას რუსული ყ გრაფემით აღნიშნავენ.

ამდენად, ერთი შეხედვით, მართებული იქნება ვ<sup>0</sup>, ქ<sup>0</sup>, კ<sup>0</sup>, ყ<sup>0</sup>, ღ<sup>0</sup>, ხ<sup>0</sup> ფონემათა გადმოსაცემად ქართულში გამოვიყენოთ უკვე ტრადიციული გუ, ქუ, კუ, ყუ, ღუ, ხუ კომპლექსები, მაგრამ მასალის ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ აღნიშნული ფონემები სხვადასხვა პოზიციაში სხვაობენ ლაბიალიზაციის სიძლიერის მიხედვით, რაც იმაში გამოიხატება, რომ სხვადასხვაგვარია ლაბიალიზაციის დონე თანხმოვანთა შორის და ხმოვნისწინა პოზიციებში. ამიტომ ამ ფონემებს ქართულში სხვადასხვა კომპლექსი უნდა შეესაბამებოდეს. მნიშვნელობა აქვს პოეტოკურ მხარესაც, კერძოდ, მაქსიმალურად უნდა იქნეს შენარჩუნებული მარცვალთა რაოდენობა.

ა. თუ გ<sup>0</sup>, ქ<sup>0</sup>, კ<sup>0</sup>, ყ<sup>0</sup>, ღ<sup>0</sup>, ხ<sup>0</sup> ფონემები წინ უსწრებს ა, ე, ხმოვნებს (ე. ი. დგას სიტყვის თავიკიდურ ან შუა პოზიციაში), ისინი უნდა გადმოიცეს გვ, ქვ, კვ, ყვ, ღვ, ხვ კომპლექსებით. ამ ფონემათა ასეთ გადმოცემას გარკვეული ტრადიციაც უჭერს მხარს. მაშასადამე, უნდა იწერებოდეს: სახელები: გვაგვა, ბაგვა, ქვეიზა, ქვაჩალა, ტიკვა, ადიკვა, ბათაყვა, ღვაკა, ღვანა, ხვათხვათ-ი//ხოთხოთ-ი, შარითხვა...; ტოპონიმები: გვანდრა, აწიჭქვა, აკვასქია, აყვარაში-ი, ღვალა, ჭირხვა და სხვ.

ბ. მახვილიანი ან უმახვილო ზ ხმოვნის მომდევნო პოზიციაში გ°, ქ°, კ°, ყ°, ლ°, ხ° ფონემების გადმოსაცემად ქართულში უკვე არსებობს გარკვეული ტრადიცია, რაც ანგარიშგასაწევიან: ზ ხმოვანი გადმოიცემა უ ხმოვნით, ხოლო ლაბიალიზებული თანხმოვანი წარმოადგენილია ლაბიალიზაციის ელემენტის გარეშე.

ამრიგად, უნდა ვწეროთ: გვარები: ცუგბა (შდრ. ცგგბა), ჩუგბარ-ი (შდრ. ჩგგბარ), ორჩუგბა (შდრ. ორჩგუგბა) ზუგბა (შდრ. ზგგბა)...; ტოპონიმები: აბღარხუქ-ი (შდრ. აბღარხგქ), აკურღა (შდრ. აკღღრა) და სხვ.

გ. თუ გ°, ქ°, კ°, ყ°, ლ°, ხ° ფონემებს მოსდევს თანხმოვანი ან ზ ხმოვანი, მაშინ ეს ფონემები უნდა გადმოიცეს გუ, ქუ, კუ, ყუ, ლუ, ხუ კომპლექსებით. მაგალითად, გვარები: არგუნ-ი, შინქუბა, ქუთარბა, კუღბა, კურგბა, კუპაღბა, აყუსბა, ხურხუმალ-ი, მამაკაცის სახელი გუგ-ი, ტოპონიმები: ჯირღულ-ი, მარღახუქ-ი და სხვ.

დ. სიტყვის ბოლოკიდური გ°, ქ°, კ°, ყ°, ლ°, ხ° ფონემები ან ბოლოკიდურივე მახვილიანი ზ ხმოვნის წინამავალი იგივე ფონემები გუ, ქუ, კუ, ყუ, ლუ, ხუ კომპლექსებით უნდა გადმოიცეს (გარდა ბ პუნქტში აღნიშნული შემთხვევებისა). მაგალითად, სახელები: ბინაგუ, ლაგუ, ხიგუ, თიკუ, ცეყუ, ლუღუ...; ტოპონიმები: აქუ, აწითვაქუ (და არა აცეტუკა), ამფარაა-რხუ, აშიბოხუ, ერცახუ და სხვ.

ე. თუ გ°, ქ°, კ°, ყ°, ლ°, ხ° ფონემები გვაქვს ქართულთან საზიარო სახელებში, მაშინ ეს სახელები ისევე უნდა დაიწეროს, როგორც იწერება ქართულში. მაგალითად: ძუკუ (შდრ. ჩგკ), ჩაგუ (შდრ. ჩაგ), ტაგუ (შდრ. ტაგ), დათიკო (შდრ. დათიკა), ჭიჭიკო (შდრ. ჭგჭგკა), სიკო (შდრ. სიკა), ნაწიკო (შდრ. ნაწიკა) და ა. შ.

ზ. თუ გვარი უა კომპლექსით ბოლოვდება და ამ დაბოლოებას გ°, ქ°, კ°, ყ°, ლ°, ხ° თანხმოვნები უძღვის, მაშინ მოსალოდნელი ორი უ ხმოვნის ნაცვლად დაიწერება ერთი უ. მაგალითად: აგუა, შანგუა, ქაკუა//ჭოკუა, ხანგუა და ა. შ.

3. ლაბიალიზებული ჰ° ფონემა ა ხმოვნის წინ ჰვ კომპლექსით უნდა გადმოიცეს, ხოლო სხვა შემთხვევაში ჰუ კომპლექსით. მაგალითად: ჰვათიშ-ი (გვარი), მაგრამ თჰუბუნ-ი (ტობ.), ფსჰუ (ტობ.) აჰუბა (გვარი)...

4. ლაბიალიზებული ვ ფონემა, პოზიციის მიუხედავად, ვი კომპლექსით უნდა გადმოიცეს: გვარი ავიძბა, ტოპონიმები: აძვიბუა, არვიაშ-ი, ბავი (ი ხმოვანი ფუძისეულია!)... გამონაკლისის სახით ვ ფონემა ოდენ ვ თანხმოვნით უნდა გადმოიცეს იმ შემთხვევაში, თუ მას ბაგისმიერი თანხმოვანი მოსდევს: აქავბა (გვარი), ტივბა (გვარი) და

ა. შ. მაგრამ ზოგჯერ თვით აფხაზურში ვა—ვე: ამ შემთხვევაში ეს კომპლექსი ვე კომპლექსით უნდა გადმოიციეს: აგვავერა (ტობ.) ნავეო (სახ.) და სხვ.

## II. პალატალიზებულ ფონემათა ქართულად გადმოცემა

1. თუ აფხაზურ პალატალიზებულ გ, ქ, კ, ყ, ლ, ხ თანხმოვნებს მოსდევს მახვილიანი ან უმახვილო ჯ ხმოვანი, მაშინ ეს კომპლექსები ქართულში გი, ქი, კი, ყი, ღი, ხი კომპლექსებით უნდა გადმოიციეს. მაგალითად, გვარები: თარკილ-ი, კიახირ-იფა, კილბა, კიჩბა, ფკინ-ი, ჩხინჯერია, ხიბ(ბ)ა, ხიკუბა...; სახელები: სქინჯ-ი, ედგი (ბოლოკიდური ი ფუძისეულია!), ხიკურ-ი, ხიმურ-ი ხირუშა, ხიმრა, ხიბლა...; ტოპონიმები: არაკიჩ-ი, ლაშკინდარ-ი და ა. შ.

2. თუ იმავე პალატალიზებულ ფონემებს თანხმოვანი მოსდევს, მაშინ ეს ფონემები ოდენ გ, ქ, კ, ყ, ლ, ხ, ფონემებით უნდა გადმოიციეს. ამასთანავე, თუ აღნიშნული ფონემები სიტყვის აბსოლუტურ ბოლოშია, მაშინ მომდევნო ი ხმოვანი ფუძეში არ შედის, იგი ქართულის სახელობითი ბრუნვის ნიშანია. მაგალითად, გვარები: ენიკ-ი, თირქბა, კურკბა, ყალღბა...; სახელები: ასლამბაქ-ი, ჭირპად-ი, დუკ-ი...; ტოპონიმები: ძიხჩა, არასაძიხ-ი, გურჩხ-ი და სხვ.

3. თუ გ, ქ, კ, ყ, ლ, ხ ფონემებს ა ხმოვანი მოსდევს და ეს ხმოვანი აფხაზურში ე ხმოვანს არ იძლევა, მაშინ გა, ქა, კა, ყა, ღა, ხა მარცვლები ქართულში გია, ქია, კია, ყია, ღია, ხია კომპლექსებით უნდა გადმოიციეს. მაგალითად, გვარები: კიახბა, კიახირ-იფა...; სახელები: ედიგია, შუგიან-ი, ვიკია, მახიალ-ი, შაგიარ-ი, კიამღვალუ, ქიააზიმ-ი, ქიაამინ-ი, ვიაგია, კიასა...; ტოპონიმები: იალიაფსთა, აკვას-ქია...

4. თუ თვით აფხაზურში გ, ქ, კ, ყ, ლ, ხ ფონემათა მომდევნო ა ხმოვანი ე ხმოვანს იძლევა, ან თუ პარალელურად გვაქვს როგორც ა ხმოვნის, ისე ე ხმოვნის შემცველი ვარიანტები, მაშინ ასეთი კომპლექსები გე, ქე, კე, ყე, ღე, ხე კომპლექსებით უნდა გადმოიციეს, ე. ი. უპირატესობა პარალელურ ვარიანტთაგან ე-ხმოვნიანს უნდა მიეცეს, რასაც მეტრიკის თვალსაზრისითაც აქვს გამართლება, ვინაიდან ამ გზით უცვლელი რჩება მარცვალთა რაოდენობა. მაგალითად, გვარები: ბგეუ, ომერეკეჩ-იფა, ქეცბა, შვექერია...; სახელები: გედლაჩ-ი, კესოუ...; ტოპონიმები: გენწვიშ-ი, ჭგერდა, აკვასქემწა (შდრ. აკვას-ქია), ქერქენ-ი, ჩერქეზ-იხუ, ახეცარა, ნარჯხეუ, ამტყელ-ი და სხვ.

### III. ინტენსიურ ფონემათა ქართულად გადმოცემა

ვინაიდან ქართულს არა აქვს დაპირისპირება მაგარ (ინტენსიურ) და საღა თანხმოვნებს შორის და არც სხვა რაიმე (ვთქვათ, გრაფიკული) საშუალება მოეპოვება, ამიტომ აფხაზური ენის როგორც მაგარი (ინტენსიური) ჯჷ, ჩჷ, ჳჷ, უჷ, შჷ, ასევე შესაბამისი საღა ჯ, ჩ, ჳ, უ, შ თანხმოვნები გადმოიცემა ჯ, ჩ, ჳ, უ, შ თანხმოვნებით.

### IV. ფ სპირანტის ქართულად გადმოცემა

აფხაზური ენის ფ სპირანტი, მსგავსად რუტული და ევროპული ენების შესაბამისი სპირანტებისა, უნდა გადმოიცეს ფ თანხმოვნით, განურჩევლად პოზიციისა. მაგალითად, გვარები: ეფენია, ფეიზა, ფერიზა...; სახელები: აფი (ბოლოკიდური ი ხმოვანი ფუძისეულია), მუსტაფა, ხაფერ-ი, რაუფ-ი//როფ-ი, ფაზილბეი, ერიფ-ი, ფელდიშ-ი, ხფაფ-ი და სხვ.

### V. ნახევარხმოვანთა ქართულად გადმოცემა

1. ნახევარხმოვანი ჟ ნებისმიერ პოზიციაში ი ხმოვნით უნდა გადმოიცეს ქართულში. მაგალითად, გვარები: აღლეზა, აიზა, აღთეზა, დადალ-იფა, იუნუსზა, თანია...; სახელები: სათბეი//სათბი, ქარბეი, შალოდია, კალოდია, პილა, ადიცა, ანთიცა...; ტოპონიმები: კუნიაშთა, მარშანიკვარა, ბაგაუვიაშთა, ომარიშარა, სათიკვარა, იაშთხვა და სხვ.

2. თუ ნახევარხმოვანი უ დგას ზ ხმოვნის წინ ან მის მომდევნოდ, მაშინ ჯუ, უჷ კომპლექსები უ ხმოვნით უნდა გადმოიცეს ქართულში. მაგალითად, გვარები: დაუთია, დუმაა, კიუტ-ი, ჩუაჷ-ი, ცუზა და სხვ. საკითხის ასე გადაწყვეტას მხარს უჭერს თვით აფხაზურის მონაცემებიც, სადაც ჯუ, უჷ იძლევა უ ხმოვანს.

3. აუ, ოუ, ეუ კომპლექსები სიტყვის ბოლოს ან თანხმოვნის წინ აუ, ოუ, ეუ კომპლექსებით უნდა გადმოიცეს ქართულში. მაგალითად, გვარები: ბგეუ, ებუნოუ...; სახელები: ბალოუ, კესოუ, პაკროუ, სოულაჷ-ი...; ტოპონიმები ფსოუ, ჭლოუ, მაქიაშთოუ, შოუდიდ-ი და სხვ. ამ სისტემიდან ერთი შეხედვით გამონაკლისად გამოიყურება ტოპონიმები სოუიკვარა და სოუიფსარა, მაგრამ ეს ტოპონიმები ორსიტყვიანი კომპოზიტებია და პირველ კომპონენტად (წევრად) საკუთარი სახელი სოუ გვევლინება, რომელშიც უ აბსოლუტურ ბოლოში დგას. სხვა საკითხია, თუ როგორ დაიწეროს ეს ტოპონიმები ქართულად, დედისით თუ მის გარეშე (აფხაზურში მათ დედისით წერენ).

4. ხმოვნის წინ მდგომი ან ხმოვანთა შორის მოქცეული უ ფონემა ქართულში ვ თანხმოვნით უნდა გადმოიცეს. მაგალითად, გვარები: გირვაფშ-ი, ივანბა, ვოუბა, ვანაჭა, აგუსხოვა...; სახელები: ივა, ლევა, ვარმათ-ი, ლევარსან-ი, ვარდახან-ი, ვარლა...; ტოპონიმები: ავადშარა, ვაზაბაა და სხვ.

5. ფუძისეული ჯ ხმოვნის ან თანხმოვნის მომდევნო უა დაბოლოება გვარებისა ქართულში უა კომპლექსით უნდა გადმოიცეს. მაგალითად: ანუა, აშხარუა, აშვანუა, შანგუა, ხანაგუა, ხუნდუა, ჯოპუა, ჯონუა და სხვ. ასევე უნდა გადმოიცეს გვარი შოუა, რომელიც აფხაზურში ორ უ-ს შეიცავს.

## VI. ორი ა ხმოვნის ქართულად გადმოცემა

აფხაზურ გვარებსა და ტოპონიმებში ხშირად გვხვდება ორი ა ხმოვანი. ქართულად ამგვარ სახელთა გადმოცემისას ეს ორი ა ხმოვანი ვ თანხმოვნით არ უნდა განიკვეთოს (თუ, რა თქმა უნდა გვარი ქართველური წარმოშობისა არ არის!). მაგალითად, გვარები: აშვხვაწაა, აბლაჯაა, აგუმაა, ატვმაა, აქირთაა, აშხარაა, ბარმიშაა, გერშმაა, კარხალაა, კაჭაბაა, კურკუნაა, მან-ი//მარლანია, პაპცაა...; ტოპონიმები: ვაზაბაა, აბააჟვახუ ლძა (და არა ლიძადა!), ანუა-რხუ, ოსია-რხუ, აბააქით-ი და სხვ.

## VII. ჯ ხმოვნის ქართულად გადმოცემა

აფხაზურის ჯ ხმოვანი ქართულად ი ხმოვნით უნდა გადმოიცეს, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც ზემოთ აღინიშნა (იხ. ლაზიალიზებულ ფონემათა გადმოცემის შესახებ, პუნქტი I ბ). მაგალითად, გვარები: აბიჯბა, თირქბა, ქიუფ-იფა, ხიშბა, ჯიკირბა...; სახელები: კამაჭიჭ-ი, სეი-დიყ-ი, ღიკურ-ი, კუჭირ-ი, ფელდიშ-ი, სთიჩკვა, ჩიკა...; ტოპონიმები: აფსნი, აბააქით-ი, აგურბიშა, აქიდრა, ბზიფთა, ალაშაძი (და არა ალაშაძე ან ალახაძე!), აღძიხ-ი, ეშირა (და არა ეშერა!), ლხინი, მაშადირ-ი (და არა მესადირი!), მისრა (და არა მიუსერა!) და სხვ.